საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N943 2023 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა: საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებებისათვის საჭირო მომსახურების

სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 349 515 ლარის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლებიდან ან/და „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**